2026 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა ისტორიაში

საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი	*საკითხთა დეტალიზებული ჩამონათვალი (დაზუსტება)*
1) ძველი აღმოსავლეთი და საქართველო	• შუამდინარეთის ცივილიზაცია (ქალაქ-სახელმწიფოები, აქადი, ბაბილონის სამეფო, რელიგია და კულტურა); • ეგვიპტე (სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია და კულტურა); • ასურეთი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა); • აქემენიანთა სახელმწიფო (სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია და კულტურა); • დიაოხი და კოლხა.
2) ძველი საბერძნეთი, ძველი რომი და საქართველო	• ძველი საბერძნეთი (ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები და შედეგები; • ათენი: მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ბერძენ-სპარსელთა ომები ; • ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები. ელინისტური სახელმწიფოები); • ძველი რომი (მეფეთა ხანა, რომი რესპუბლიკისა და იმპერიის ხანაში: მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა; • საქართველო ანტიკურ ხანაში (კოლხეთი, ქართლის სამეფოს შექმნა, საქართველო ძვ.წ. I-ახ.წ. III საუკუნეებში).
3) მსოფლიო და საქართველო IV-X საუკუნეებში	• ხალხთა დიდი გადასახლება; • დასავლეთ რომის იმპერიის დასუსტება და დაცემა; • ქრისტიანობა (წარმოშობა, გავრცელება, I, IV და VII მსოფლიო საეკლესიო კრებები); • ბარბაროსული სამეფოები; • ფრანკთა სამეფო (მეროვინგები, კარლოს მარტელი, პიპინ მოკლე, კარლოს დიდი, ფრანკთა იმპერიის დაშლა); • ნორმანები და მათი ლაშქრობები; • საღვთო რომის იმპერია (ოტო I); • ბიზანტია (იუსტინიანე დიდი, ჰერაკლე კეისარი, ხატმებრძოლეობა); • არაბები და მათი დაპყრობები (ისლამის ჩამოყალიბება, პირველი ხალიფები, უმაიანთა დინასტია, აბასიანთა დინასტია, არაბული კულტურა, არაბები პირენეიზე); • ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში; ვახტანგ გორგასალი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა); საქართველო VI საუკუნეში; არაბთა ბატონობა საქართველოში; ქართული სამეფო-სამთავროები VIII-X საუკუნეებში.
4) მსოფლიო და საქართველო XI-XV საუკუნეებში	• ინგლისი (უილიამ დამპყრობელი, ჰენრი II, თავისუფლების დიდი ქარტია, პარლამენტის შექმნა); • საფრანგეთი (ფილიპე II ოგიუსტი, ლუი IX წმინდა); • ბიზანტია (ბასილი II, ალექსი I, პალეოლოგოსები, ბიზანტიის დაცემა); • სელჩუკთა ლაშქრობები და სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნა (თოღრულ-ბეგი, ალფ არსლანი, მალიქ შაჰი); • ჯვაროსნული ლაშქრობები (მიზეზები, რაინდობა და სარაინდო ორდენები, 1-8 ლაშქრობები, შედეგები);

	• პაპობა (დაპირისპირება კონსტანტინოპოლის პატრიარქთან და დიდი სქიზმა, ბრძოლა ინვესტიტურისათვის, გრიგოლ VII, ინოკენტი III, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება); • ფეოდალური ურთიერთობები და ფეოდალური საზოგადოება ევროპაში, საქალაქო ცხოვრება ევროპაში, განათლება და კულტურა ევროპაში; • მონღოლთა ლაშქრობები (ჩინგიზ ყაენი, ბათო ყაენი, მონღოლური სახელმწიფოები); • ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ტერიტორიული ზრდა (ორჰანი, მურად I, ბაიაზიდ I, მეჰმედ II); • თემურ-ლენგი და მისი დაპყრობები; • რეკონკისტა, პირენეის ნახევარკუნძულის გათავისუფლება მუსლიმთაგან. • ჰუმანიზმი და რენესანსი; • დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (მიზეზები, ექსპედიციები, შედეგები); • საქართველო XI-XV საუკუნეებში (ურთიერთობა ბიზანტიასთან და სელჩუკებთან, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, საქართველოს კულტურა XI-XIII საუკუნეებში, საქართველო მონღოლთა ბატონობისას, გიორგი ბრწყინვალე, თემურ-ლენგის ლაშქრობები, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად).
5) მსოფლიო და საქართველო XVI-XVIII საუკუნეებში	• რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია (მიზეზები, მიმდინარეობა, შედეგები, რელიგიური ომები საფრანგეთში); • ჰაბსბურგების სახელმწიფო (კარლოს V, ფილიპე II, ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ); • საფრანგეთი და ინგლისი (ლუი XIII, კარდინალი რიშელიე, ლუი XIV, ელისაბედ I, ჯეიმს I, სამოქალაქო ომი ინგლისში); • ოცდაათწლიანი ომი (მიზეზები, მიმდინარეობა, შედეგები); • ოსმალეთი და ირანი (სულეიმან I, სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება, აბას I, ირან-ოსმალეთის ომები); • ნიდერლანდების რევოლუცია (მიზეზები, მიმდინარეობა, შედეგები); • განმანათლებლობა; • რუსეთი (ივანე III, ივანე IV, პეტრე I); • ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური კოლონიები და აშშ-ს შექმნა; • საფრანგეთის რევოლუცია (მიზეზები, მიმდინარეობა, შედეგები); • საქართველო XVI-XVIII საუკუნეებში (ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო, ვახტანგ VI, ერეკლე II, სოლომონ I).
6) რევოლუციები, სამოქალაქო ომები და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობები XIX საუკუნის მსოფლიოში	• ნაპოლეონის ეპოქა (ლაშქრობები, რეფორმები, ასი დღე, ვენის კონგრესი); • დიდი ბრიტანეთი (კოლონიური იმპერია, ინდუსტრიალიზაცია, სოციალური მოძრაობები, ვიქტორიანული ეპოქა); • საფრანგეთი (ბურბონების რესტავრაცია, რევოლუციები, მეორე იმპერია, სოციალური მოძრაობები); • რუსეთი (აღმოსავლეთის საკითხი, ომები ოსმალეთთან და ირანთან, რუსული კოლონიალიზმი); • იტალიის გაერთიანება (მაძინი, კავური, გარიბალდი, ვიტორიო-ემანუელე II, გაერთიანების პროცესი); • გერმანიის გაერთიანება (ვილჰელმ I, ბისმარკი, პრუსიის სამხედრო რეფორმა, გაერთიანების პროცესი, ვილჰელმ II); • სამოქალაქო ომი აშშ-ში (აბოლიციონიზმი, პოლიტიკური პარტიები, ომის მიმდინარეობა, შედეგები); • საერთაშორისო ვითარება პირველი მსოფლიო ომის წინ.

7) საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში	• რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა; • XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმათავისუფლებელი აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება; • ბატონყმობის გაუქმება; • რუსეთ-ოსმალეთის ომები და საქართველო; • ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მოღვაწეობა.
8) პირველი მსოფლიო ომი; საქართველო და მსოფლიო პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში	• პირველი მსოფლიო ომი (ომის მიმდინარეობა, შედეგები, პარიზის კონფერენცია, ერთა ლიგა); • რევოლუციები და სამოქალაქო ომი რუსეთში; • საბჭოთა კავშირის შექმნა, საბჭოთა კავშირი 20-30-იან წლებში; • იტალია, გერმანია, ესპანეთი, იაპონია 20-30-იან წლებში; • საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და მისი წინაპირობები; • საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა; • საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაცია; • 1922-1924 წლების ანტისაბჭოთა, განმათავისუფლებელი აჯანყებები; • კოლექტივიზაცია; • 1930-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები.
9) მეორე მსოფლიო ომი	• მეორე მსოფლიო ომი (ომის წინაპირობები, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, გერმანიისა და სსრკ-ს თავდასხმა პოლონეთზე, სსრკ-ს მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაცია, სსრკ-ფინეთის ომი, გერმანიის თავდასხმა სსრკ-ზე და სამხედრო ოპერაციები გერმანია-სსრკ-ის ფრონტზე, იაპონიის თავდასხმა აშშ-ზე და ომი წყნარ ოკეანეში, სამხედრო ოპერაციები აფრიკაში, ოპერაცია „ოვერლორდი“, თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციები, გერმანიისა და იაპონიის კაპიტულაცია, ნიურნბერგის პროცესი); • ქართველები მეორე მსოფლიო ომში.
10) საქართველო და მსოფლიო „ცივი ომის“ ეპოქაში	• მსოფლიო „ცივი ომის“ ეპოქაში („ცივი ომი“ და მისი მიზეზები, კორეისა და ვიეტნამის ომები, „კარიბის კრიზისი“, ავღანეთის ომი, NATO-სა და „ვარშავის ხელშეკრულების“ ბლოკის შექმნა); • აშშ, ევროპის სახელმწიფოები, საბჭოთა კავშირი; • ინდოეთისა და აფრიკის დეკოლონიზაცია; • ანტისაბჭოთა გამოსვლები 1956 წელს უნგრეთსა და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში; • 1956 წლის 9 მარტის, 1978 წლის 14 აპრილის და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები საქართველოში.
11) აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლა; საქართველო XX საუკუნის მიწურულს	• აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლა; • 1990 წლის არჩევნები საქართველოში; • დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს; • საქართველო XX -XXI სს-ის მიჯნაზე (ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, 2008 წლის რუსეთის ინტერვენცია საქართველოში).